თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5935200

ნომერი: AR1897740

თარიღი : 11.05.2022

გაცემის თარიღი : 11.05.2022

გაცნობის თარიღი : 11.05.2022

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოტე მარჯანიშვილის ქუჩა N44;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან აბაშიძე პ/ნ 61011000063
- თბილისი გივი კარტოზიას ქ. N 6 ბ. 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- V კატეგორიის ელექტროსადგურები (50 კვტ-მდე ჰიდროელექტროსადგური, მზის ან ბიოგაზის დანადგარი) ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილიისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2022 წლის 11 მაისის AR1897740 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, კოტე მარჯანიშვილის ქ. #44-ში არსებულ შენობაზე 44 კვტ მზის ელექტროსადგურის განთავსების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში,კოტე მარჯანიშვილის ქ. N44-ში არსებულ შენობას მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2021 წლის 26 ნოემბრის № 5682419 ბრძანებით მოწონებულ იქნაქ. თბილისში კოტე მარჯანიშვილის ქ. N44-ში (ძეგლი) სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი; გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა; მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 26 ნოემბრიდან 2022 წლის 26 აპრილის ჩათვლით; იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები არ არის დასრულებული, საჭიროა განცხადება და საპროექტო დოკუმენტაცია ატვირთული იქნეს შეთანხმებული პროექტის ცვლილების მოთხოვნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება განცხადებისა და საპროექტო დოკუმენატციის შესაბამის ნომენკლტურაში ატვირთვის შემდგომ.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.